№ 77 **სახალხო გაზეთი** № 77

კვირა, 8 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

კვირას, 8 აგვისტოს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატის

**სევერიანე მოსეს-ძე ჯუღელის**

გარდაცვალებიდან წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც აცხადებენ მიცვალებულის ამხანაგები და მეგობრები.

## ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელ 1, მე-5, მე-6, და მე-7 კლასებში და ხელმეორე გამოცდები გიმნაზიის მოწაფეთა დაიწყება 12 აგვისტოდან და მოხდება გიმნაზიის შენობაში გამოკრულ გამოცდების განაწილების თანახმად. დანარჩენ კლასების მოწაფეთა მიღება არ იქმნება ადგილის უქონლობისა გამო.

თხხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება 15 აგვისტომდე.

(3—6.—2)

ტფ. ქართული გიმნაზიის

## საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ საერთოდ ეგზამენები დაიწყება მარიამობის თვის ოცსა. ხოლო პირველ განყოფილებაში შესასვლელად გამოცდა მოხდება ოცდა შვიდსა.

(6—6.—5)



## ქართული სახალხო თეატრი

კვირას, 8 აგვისტოს,

ბენეფისი ჭიდაობის ორგანიზატორის

**დ. ეიქენისა.**

**ბალში დაუკრავს ორი ხორო ორკესტრისა**

ბალი საუცხოვოდ გაჩირაღდნებული იქნება.

საინტერესო სეანსები სინემატოგრაფიისა. ცნობილი ფალავანი პეტერსონი ჯერ არავისაგან ნახულ სანახაობას უჩვენებს მაყურებლებს: ასწევს 240 ფუთის სიმძიმე რკინას, რომელზედაც ორმოცი კაცი ჩამოეკიდება.

ჭიდაობა იქნება ორ განყოფილებად.

1 წითელი ნიღაბი ეჭიდავება იანოშ ნაჯის. 2. მიხელ მაერი პეტერსონს, 3. შავი ნიღაბი ვან როტენს. 4. სპარსული ჭიდაობა, აპოლონი მახოვს. 5. ამერიკული ჭიდაობა კეჩ კენ მატიუშენკოსა და კალკაუს შორის. 6. რუსული ჭიდაობა რაზინსა ლიტვინოვს შორის.

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს.

ბალში შესვლის ფასი 20 კ., ადგილების ფასი დაკლებულია. (3—6.—1)

**ქუთაისის სამეურნეო სკოლის მმართველი აცხადებს, რომ**

## ოცდა შვიდ აგვისტოდან

## იწყება

## მისაღები ეგზამენები

მსურველნი ვალდებულნი არიან თხოვნასთან 15 აგვისტომდე წარმოადგინონ მეტრიკული და სწავლა-ყოფაქცევის მოწმობები. (3—5.—2)

**—კვირას, 8 აგვისტოს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—**

**გაიმართება 5 საინტერესო კავკასიური**



## ჭიდაობა

**უმაწვილების მზრუნველთა საზ. სასარგებლოდ**

**ამ კვირია იჭიდავებს კავკასიის პირველი გამოჩენილი**

**ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი**

## კოლა გლდანელი და

„ვოლონტეცის“ გამოჩენილი სახელოვანი მოჭიდავე

## ყაზახი რაზინი,

2. გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და შაშუა ვერელი, (გიორგი დოთიაშვილის გამოთხოვნით თხუთმეტი (15) მანეთის სანაძლეოთი. 3. თედო კაკაშვილი და ივანე დოდიევი. 4. თედო ნასილჩიკი და ილიკო გეცაძე. 5. ვასო კოშკლაშვილი და მერაბაშვილი კუნძულა. გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.

**ანონსი:** რომელიც 1 აგვისტოს ეჭიდავა სილვისტრ პეტერსონი კოლა გლდანელს ეჭიდავება მეორედ კვირას 15 აგვისტოს, სილვისტრ პეტერსონის გამოთხოვნით და 100 მანეთის სანაძლეოთი.

**ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი**

დასაწყისი საღამოს 5 1/2 საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.**

(2—363—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; გარდა კვირა. 11-12 სა.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. დ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10 1/2—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო ვ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2 1/2—3 1/2 ს.

**მაღალაშვილი ვ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., [illegible] ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირაღოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხობოლევსკი ვ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მრავალი. საფასურით.

(200—6.—247)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 696.

**გ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1 1/2—2 1/2 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11 1/2—12 1/2 ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. შოშოვი**—ყელ. ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ი. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წ—6. 408)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

## „ალიონი“

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—6.—2) ამხანაგობა „ალიონი“ს გამგე **ვ. გადილია.**

**გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში**

მიიღება ხელის მოწერა

## 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე

## დავით კლდიაშვილის

## სრულ თხზულებაზე

(ავტორის სურათით).

თხზულება დაიბეჭდება **კარგ ქაღალდზე** ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **ივ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**

5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.

**ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება**

აგენტებს ვთხოვთ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.

უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—4)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9 1/2-დან 5 ს.-დე.

**ხარაბ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგუცკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1 1/2—3 საათ.

**ცნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12 1/2 საათ.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—6 ს.

**მიკირტუმოვი** დილის 10 1/2—11 1/2 ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—83)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მწოლიად დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5 1/2—6 1/2 ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6 1/2—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰელიქანიზმება, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—44)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—181

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5 1/2—6 1/2 საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79 (0—6.—120

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ზ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად **კუჭისა და ნაწლავებისა.** მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—2)

**ექიმი** მ. ს. არჩვაძე ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე ბავშვთ. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—კვ.—21)

**ქუთაისის მმართველობის ქალთა**

## გიმნაზია

(ზარეჩნის ნაწილში, მეხუთის ქუჩა).

ამით აუწყებს, რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელი, პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში და ხელმეორე გამოცდები გიმნაზიის მოწაფეთა დაიწყება 21 აგვისტოდან. და მოხდება თანახმად გიმნაზიაში გამოკრულ გამოცდათა მონაწილეობისა. მეშვიდე კლასში უადგილობისა გამო მოწაფეთა მიღება არ იქნება.

თხოვნები, საჭირო დოკუმენტებით მიიღება 19 აგვისტომდე (3—6.—2)

## სამს მანეთს იძლევიან

„ვისრამიანში“, ოღონდ სრული და სუფთა წიგნი იყოს. ვისაც აქვს გასაყიდი, წარმოადგინოს „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. (3—2)

**დაიბეჭდა და იყიდება**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში

**ბატონ-ყმობა საქართველოში**

ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.

## საქართველოს ისტორია

ს. ქვარიანისა.

ფასი 25 კაპ. (16—ფ.—2)

**გამოვიდა მე 31 ნომერი**




თითო ნომერი 10 კაპ.

წლიური ფასი 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

რედაქტ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

**ქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის ერთი წევრთაგანი გაზ. „ნოვ. რეჩ“-ში ბ-ნ ანტონ ფურცელაძის მეორე წერილის გამო თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ—დ ბაგრატიონ-დავითიშვილს მიმართავს და სხვათა შორის ამბობს:

„8—9 წლის წინათ, ბ. ნ. თაყაიშვილის დროს, ამ გიმნაზიაში ათასამდე ყმაწვილი სწავლობდა. სწავლის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ყველა კლასებში პარალელი განყოფილებანი დაარსდა. იქვე იყო პანსიონი, სადაც ღარიბ თავად-აზნაურთა რამდენიმე ასი მოსწავლე სცხოვრობდა. თვით სკოლის ასიათასი ბიუჯეტი ჰქონდა. ბიბლიოთეკა, ფიზიკის კაბინეტი საუცხოვოდ იყო მოწყობილი“.

ეხლანდელის მდგომარეობით ავტორი, თქმა არ უნდა, კმაყოფილი არ არის. ავტორის უმთავრეს დამნაშავედ მიაჩნია თავად-აზნაურობა, რომელიც ეხლა ქართ. თავად-აზნაურო გიმნაზიისთვის 40—50 ათას მანეთზე მეტს ველარ იმეტებს. ამისთანა პირობებში, როდესაც მასწავლებლები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არ არიან, როდესაც ბიბლიოთეკის გასაფართოვებლად თავისუფალი თანხა მოიპოვება, რა თქმა უნდა, სკოლას რაციონალურ პედაგოგიკის მოთხოვნათა თანახმად ვერ მოაწყობ. ყველა ეს მართალია, მაგრამ ვერას გზით ვერ გაგვიგია, რა მიზნითა აქვს გამოთქმული შემდეგი ფრიად ბუნდოვანი სიტყვები:

„იცით, თ-დო გიორგი ალექსანდრეს ძევ, — სწერს ავტორი, — რომ 800 **ქართველ — მოსწავლეთაგან** (კურსივი ავტორისაა) ეხლა 300—350 ძლივსღა მოიძებნება?... იცით, თუ არა, რომ სათავად აზნაურო გიმნაზია ქართული კი აღარ არის, არამედ ინტერნაციონალურია“?...

ნეტავი რომელ წყაროებიდან აღმოაჩინა ავტორმა, რომ სათავად-აზნაურო გიმნაზია „ინტერნაციონალურ“ სასწავლებლად გადაიქცა? ან იქნება **ქართველთა** შემცირება და სხვა გუბერნიების ქართველთა შვილების გამრავლება მიაჩნია „ინტერნაციონალობად“? ნუ თუ?...

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6—7 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**პეკინი.** ემჩნევა, რომ აგიტაციას ეწევიან და სურთ კიდევ აღძრან შუამდგომლობა პარლამენტის მოწვევის შესახებ. პროვინციებიდან ცნობები მოდის, რომ ამ მიზნით დეპუტატებს ირჩევენ და აგზავნიან.

**სოფია.** მაკედონიიდან ლტოლვილთა ერთმა ჯგუფმა ჩააბარა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მემორანდუმი 1806 კაცის ხელმოწერით. მემორანდუმში აწერილია თავიანთი მდგომარეობა, თუ როგორ სდევნიან მათ ოსმალები იარაღის აყრის გამო. ლტოლვილნი სთხოვენ დიდ სახელმწიფოებს, აიძულონ სტამბოლში ჯარები გაიყვანონ მაკედონიიდან, თავი დაანებონ ჩხრეკას და უზრუნველ ჰყონ ლტოლვილნი მაკედონიაში დაბრუნდნენ.

**მელბურნი.** შეერთებულ შტატების მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი 60000 მანეთის სუბსიდიის დანიშვნის შესახებ, დამოუკიდებელ კაბელის სააგენტოსათვის. ეხლანდელი სააგენტო ხელში აქვთ ჩაგდებული დიდ გაზეთებს. მუშათა გაზეთები ამ სააგენტოთი ვერა სარგებლობენ.

**სტამბოლი.** შერეულმა ოსმალეთ-ბოლგარიის კომისიამ, რომელიც განაგებს საზღვრის საკითხს განსაზღვრა სადაო ადგილი ადრია ჩრდილოეთ ადრიანოპოლიდან 15 კილომეტრით. საერთო სიგრძე სადაო ადგილისა 400 კილომეტრია.

**სოფია.** „პრეპორეცი“ სწერს, ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევას თავისი იურიდიული დასაბუთება მქვს. ეს პრინციპი საზოგადოდ დამოკიდებულია სხვა და სხვა საერთაშორისო აქტებთან. რომელთაგან ერთი უკანასკნელი—ბერლინის ტრაქტატ—სავსებით არაა გაუქმებული.

**რომი.** რამდენიმე შემთხვევა იყო ხოლერით ავადგახდომისა ბრისა და ფიდშის ოლქებში. მთავრობამ ამის გამო საჭირო ზომები მიიღო.

**სტოკჰოლმი.** გაიხსნა მეთერთმეტე გლომიური კრება.

**თეირანი.** რეგენტი შეურიგდა ახალ კაბინეტს და კვლავ თავის თანამდებობაზე რჩება. მეჯლისში წინადადება შეიტანეს, რომ სათარხანსა და ბაღირ-ხანს სამუდამო პენსია დაენიშნოთ. ხელახლა შეეკითხნენ სპარსეთიდა რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ რუსეთს აზრად აქვს დაუდოს სპარსეთს ზოგიერთი პირობა, რომელიც არ იქნება სამძიმო, თუ სპარსეთი მეგობრულ განწყობილებაში იქნა რუსეთთან.

სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი უარჰყოფს ინგლისის პარლამენტში გრეის მიერ ნათქვამს, ვითომ სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა რუსეთის ელჩს ზენჯანში ღარაბ მირიზის შესაპყრობლად ყაზახების გაგზავნის გამო.

**კანეა.** ქრისტიან და მაჰმადიან მცხოვრებთა დამოკიდებულება მწვავდება. მოსალოდნელია საქმის გართულება. მაჰმადიანნი ძალადობას სჩადიან. რეტიმანში დაბა სუდში მაჰმადიანებმა დასწვეს ქრისტიანთა ორი სახლი ცეცხლში დაიწვა სახლის პატრონი.

**ათინა.** მინისტრ - პრეზიდენტად ნამყოფმა დიალისმა მიმართა კრიტის ლიდერს მიხეილ დეკისს და განუცხადა, რომ სახელმწიფოთა ჩარევა საერო კრების არჩევნებში—ეს საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევას მოასწავებს. მთავრობა ვერ აუკრძალავს ხალხს არ ამოირჩიონ კრიტელები. უკანასკნელებს შეუძლიანთ არ მიიღონ კანდიდატურა.

**რომი.** ბერლინში ხოლერით ავად გახდა 12, გარდაიცვალა 9, ანდრია-

ში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3, ტრანში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 12, სხვა ადგილებში ავად გახდა 37, გარდაიცვალა 6, ფიქრობენ, რომ ხოლერა შემოიტანეს ციგნებმა, რომელნიც ბათომიდან მოვიდნენ. მეორენი ირწმუნებიან, რომ ხოლერა შემოიტანეს მგზავრებმა, რომელნიც ოდესაში იყვნენ და ბარში გამოიარეს.

**ათინა.** კრიტელებმა პოპამასტრაკისმა და კონდუროსმა უარი სთქვეს საერო კრების წევრის კანდიდატურაზე. პოლოგეერგისი ყოყმანობდა, რადგან ის საბერძნეთის ქვეშევრდომია. ვენიზელოსისაგან ჯერ არავითარი ცნობა არ მოსულა.

**ჰაერში ფრენა.**

**ლონდონი.** ავიატორი მუაზანი, რომელიც დილის 5 საათსა და 5 წუთს აფრინდა ტილმანსტონში, მოტორის გაფუჭების გამო ჩამოეშვა ძირს დილის 7 საათზე სიტინგსბერგში, როტიესტერის ახლო დილის 10 ს. 30 დაწუთზე მუაზონი მშვიდობით მოფრინდა ლონდონში და დაეშვა ბრელის სასახლესთან.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მუაზანი ვითომ ბრაელის სასახლესთან ჩამოფრინდაო მართალი არაა. მუაზანი ჩამოეშვა რეინგენში, ჩატმიდან 4 მილის მანძილზე. მატორის გაფუშების გამო, რომლსაც მუაზანი ძირს დაეშვა პრობელერი გატყდა.

**პარიზი.** სამხედრო მინისტრმა საუზმე გამართა ალშოსავლეთ საფრანგეთზე გაფრენილ ავიატორთა პატივსაცემად. მინისტრმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ მას ყოველთვის სწამდა ავიატიკა, უკანასკნელმა გამარჯვებამ მოლოდინს გადააჭარბაო.

**რ უ ს ე თ ი**

**ვოლოგდა.** მოსკოვო-არხანგელის რკინის გზის სადგურ ოპოზერსკოისაში იხსნება სატყეო კონდუქტორების სკოლა; სკოლას საჭირო ტყიანი მიწაცა აქვს, სადაც პრაქტიკულად იმუშავებენ მოსწავლენი.

**კიევი.** დნეპრსა და მის ტოტეებში წყალი ძლიან მატულობს. დადიან დიდი სამგზავრო გემები. ქვევითა დნეპრის რაიონში ციმბირის ჭირით საქონელი ავად აღარა ხდება.

**ჩერნიგოვი.** სტაროდუბში პოლიციამ დააპატიმრა სამიკაცი, რომელთაც 17 მკათაივეს დაბა კლინცაში გაძარცვეს ვაჭარი დოლგოვი და წაართვეს 1300 მ., მეოთხე ავაზაკი ებრაელი პოლიციამ დაიჭირა ნოვოზიბკოვის მაზრაში. შეპყრობილნი ეკუთვნიან ახლად დაარსებულ ანარქისტთა ჯგუფს. პოლიციამ მათ ბინასაც მიაგნო ქალაქ კიევში, სადაც უკვე ექვსი დააპატიმრა.

**პეტერბურგი.** წერდ ექსარგსის მატარებლით ჩამოვიდნენ ინგლისის საგანგებო ელჩები ფელდმარშალ ლორდ. რობერტის მეთაურობით; ელჩებმა უნდა აუწყონ ტახტზე ინგლისის მეფის ასვლის ამბავი.

**ყაზანი.** მიწათ-მოქმედების მთავარ სამართველოს ნებართვით ცივილის ერობა მართავს უფასოდ დათმობილ მამულზე პირველს სანიმუშო ბინას.

**სოსნოვიცა.** სოფ. ბობრეკში ავაზაკები დაეცნენ მადარო ნიკვას მომუშავეთა ბინას; ერთი მუშა მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**ეკატერინოსლავი.** გამოფენაზე დიდის ამბით გახსნეს სამხრეთ რუსეთის მთის მადნის მრეწველთა კრების განყოფილება.

**კიევი.** კიევის საგზაო ოლქის სარევიზიო გზათა მინისტრის მიერ გამოგზავნილი კომისია დ. ს. ს. კოროლკოვის თავმჯდომარეობით ქაღალდებსა სინჯავს. ჯერ-ჯერობით შეკრებილი მასალის მიხედვით არ შეიძლება ლაპარაკი დიდ ბოროტ-მოქმედების შესახებ. გაზეთების ცნობები, ვითომც ოლქს დიდ-ძალი ზარალი მიეყენებინოს ხაზინისათვის, უდროვოა.

**ნოვოჩერკასკი.** სტანიცა უსტმედვედიცკაში გახსნეს სამასწავლებლო სემინარია.

**როვნო.** სოფ. ელნოში გასტეხეს ეკლესიის კარები და წაიღეს ფული და ოქროს კოვზი. ვისზედაც ეჭვი მიიტანა პოლიციამ გამოტყდა ბოროტ-მოქმედებაში და ამხანაგებიც დაასახელა ყველანი დააპატიმრეს.

**სიმფეროპოლი.** დანციგის ბოტანიკურ-ზოოლოგიურ საზოგადოების წევრები აღარ დაივლიან ყირიმსა და კავკასიას, რადგან დასავლეთ რუსეთში ძლიერმა ხოლერამ იჩინა თავი.

**პეტერბურგი.** უეცრივ გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, მღვდლების წარმომადგენელი დამსახურებული პროფესორი დეკანოზი გორჩაკოვი.

**სევასტოპოლი.** ჩამოვიდა მოსკოვის არქეოლოგიურ ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია, ხერსონესში მიწა დათხარა, აღმოაჩინა ბევრი ძვირფასი და საყურადღებო ნივთი; ექსპედიციამ გასინჯა ინკერმანის ნიადაგი, დაათვალიერა ქალაქი და მიდამოები.

ჩამოვიდა ექიმი გაგერსტი, რომელიც სიფხიზლის სამზრუნველოების ორგანიზაციას იკვლევს.

**რადომი.** ილჟეცის და ოპოჩნის მაზრებში მძვინვარებს თურქული. დაავადებულ ადგილებში ბაზრები დახურულია.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** გარდაცვალებულ კალაშნიკოვის მაგიერ ბირჟის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს ანდრია ტიტოვი. განსვენებულ კალაშნიკოვის გვამი 6 აგვისტოს გაასვენეს მოსკოვს დასაკრძალავად.

**ნოვოჩერკასკი.** ქალთა განათლების დამხმარე საზოგადოება ენკენისთვეში გახსნის ქალთა უმაღლეს კურსებს.

**ეკატერინებურგი** მთა მადანში მუშაობის წესის შესახებ თათბირი ჰქონდათ: დაადგინეს, რომ თუ მუშა დაშავდა და მაშინვე არ განიცხადა ეს, მადნებიან გამგეობას, პასუხს აღარ აძლევს; მუშაობისათვის საჭირო წყალ-გაუვალი ტანისამოსი და სათვალეები მუშებმა თავიანთ ხარჯით უნდა შეიძინონ.

**ვერხნეუდინსკი.** წვიმების გამო მდინარე სელენგა მოდიდდა. სოფელი ნიჟნია ბერეზოვკა წყალშია; ხალხი და ქონება ნავით გადაარჩინეს; ყაზახების თივები მოიტაცა.

**ხარბინი.** შორეულ აღმოსავლეთის ჩასახლების კომიტეტის მთავარი რწმუნებული კამერგერ გონდატტი ჩამოვიდა; თან ახლავს ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი პროფ. მიტინსკი; ჩამოსვლის მიზეზი—მანჯურიის გავლენის შესწავლა პრიამურიის ეკონომიურ ცხოვრებაზე.

**შ ა ვ ი ჭ ი რ ი.**

**ოდესსა.** ქალაქის მოურავის თხოვნით ხოლერასთან მებრძოლმა პეტერბურგის კომიტეტმა ოდესას მისცა 10,000 შავი ჭირთან საბრძოლველად. პორტის გამგეობამ პორტში მომუშავეთა შავი ჭირისაგან დასაფარავად აკრძალა ზღვაში თავების გადაყრა.

**ოდესსა.** სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა განაგრძელოს კარანტინი დნესტრის წყლის მილის სადგურზე, ვიდრე ჭირი არ მოისპობა, დახუროს საცაც შავი ჭირი მძვინვარებს—ყველა ფურნეები და კაფშექტის ქარხანა, სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოების აუდიტორია საევაკუციო ბარაკად მოაწყოს, გამოიწეროს 3000 შუშა იერენისეულ შავი ჭირის წინააღმდეგი შრატი, დაავალოს საგანგებო კომისიას ფქვილის საწყობების დათვალიერება.

**მარიუპოლი.** ქალაქის და სამაზრო სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა ერთი ოდესიდან შავი ჭირი არ შემოიტანონ გაიგოს თუ რა ზომებსა ხმარებენ თაგვების გასაწყვეტად, მოაწყოს შავი ჭირის ბარაკი, საექიმ-სასანიტარო რაზმის გამოგზავნა ითხოვოს, აგრეთვე გამოიცეს ბრძანება, რომ საქონლის გემებზე, რომელნიც ოდესა—მარიუპოლს შორის დადიან, მგზავრები არ გააჰყავონ.

**ხ ო ლ ე რ ა**

**რომი.** ოლქებსა ბარისა და ფოჯაში რამდენიმე კაცი ავად გახდა ხოლერით. მთავრობამ მიიღო ყველა საჭირო ზომები.

**პეტერბურგი.** ერთის დღის განმავლობაში ავად გახდა პეტერბურგში 62, გარდაიცვალა 20, დაავადმყოფთაში 739.

**პეტებურგი.** სააგენტომ 5 აგვისტოს მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის გავრცელების შესახებ: ერთი კვირის განმავლობაში ბაქსანის მაზრაში ავად გახდა 50, გარდაიცვალა 22, ზემლიანის მაზრაში ავად გახდა 91 გარდაიცვალა 34; კურსკის გუბ. ავად გახდა 553, გარდაიცვალა 307; იშიმის მაზრაში ერუმის საზოგადოებაში ავად გახდა 5 დღის განმავლობაში 13, გარდაიცვალა 3; კრასნოიარის მაზრაში ავად გახდა 2; ნიკოლაევში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 8; ქალაქის ხუტორებში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 4; მოსკოვში ერთს დღეში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 6; დერბენდში გარდაიცვალა ორი მოსული მგზავრი; ომსკში ავად გახდა 8; კრონშტადტში ავად სესნის დაწყებიდან 120; გარდაიცვალა 49; ხოლერის გაჩენის გამო დემინსკში, 5 ენკენისთვის განზრახულ სახალხო სამკურნალო მინათ მრეწველობის გამოფენა აქ აღარ გაიმართება მთის მრეწველთა კრების საბჭოს სავმარისად ჭვსნეთ ქარხნის მადნებში ხოლერასთან საბრძოლველად მშვიდობიანობის დროს არსებულ ექიმთა რიცხვი.

**პეტერბურგი.** სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის გავრცელების შესახებ: ნიკოლაევში ავად გახდა 6. გარდაიცვალა 5, ქალაქის ხუტორებზე არავინ გამხდარა ავად, გარდაიცვალა 1; იაროსლავის მაზრაში ავადმყოფობა ბარემ 40 სოფელში არიან. ექიმები აღარა ჰყოფნიათ, მოიწვევს სტუდენტი მედიკები ბარაკებას განაგებად. ჩერნიგოვში ავადმყოფობამ თავი იჩინა საერობო სამკურნალოს ჰსიხიატრულ განყოფილებაში; ეკატერინობურგში ტიუმენოშსკის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა გამოითხოვოს 30000 მ. და ამ თანხითააგოს 4 ბარაკი, დაახლოვოს ექიმები, გამართოს ტიუმენ და ომსკში სახოლერო ვაგონები და გამოსცეს სანიტარული წესები.

**პეტერბურგი.** ხოლერასთან და შავ ჭირთან უმაღლესად დამტკიცებულ მებრძოლ კომისიის ცნობებით მთელ რუსეთში 25 თიბათვიდან 21 მკათათვემდე ავად გახდა ხოლერით 23,944; გარდაიცვალა 10723; სულ სენის დაწყების დღიდან ავად გახდა 112, 285, გარდაიცვალა 50287.

## ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

**✦ ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 5 აგვისტოს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი. მათი გვარები: 1) მარიამ ვეტულინისა, 2) ბარბარე კობოლოვისა, 3) ბაგრატ გევორგოვი, 4) ელისაბედ სიხაშვილი და 5) არუთინ მანუკიანცი.

6 აგვისტოს ავად გახდა ორი: 1) ნადეჟდა გიმპერაკი და 2) ანნა ვიგერივი ი (გარდაიცვალა). ავადმყოფებთა ბინებს დეზინფექცია გაუკეთეს.

**✦ ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 5 აგვისტოს დილის 9 საათიდან 6 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი, ხოლერის ნიშნებით —4. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—33 ავადმყოფი, მოიმატა—7, გამოეწერა—6, მოკვდა—1, დარჩა—33.

6 აგვისტოს დილის 9 საათიდან 7 აგვისტოს დილის 9 საათამდე ხოლერით ავად გახდა—5 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—33 ავადმყოფი, მოემატა—4, მორჩა 3, მოკვდა—1, დარჩა—33.

**✦ სანიტარული დათვალიერება.** გუშინ, 7 აგვისტოს, ... პოლიცმეისტრის მოადგილის კა...ტან სტროევის თანადასწრებით ...ლაქის სასანიტარო კომისიამ სა...დათის ბაზარი დაათვალიერა. კომ...სიაში იყვნენ: ქიბნის მზრუნველი ... ა. ს. დულაძე, ტერ-სტეფანო... თამამშევი, ბელოზერსკი და უფრ...სი სავაჭრო სამეურნეო ზედამხ...ველი ბ. ს. ბაზოვი. კომისიას ...დღეებში შეერთებული კრება ექ...ნება და შეადგენს საერთო სასან...ტარო ინსტრუქციას, რომლით სალდათის ბაზრის ვაჭრებმა უნ... იხელმძღვანელონ.

**✦ ტფ. ქალაქის მოურავის კა...ნდიდატები:** სომხურ გაზეთების ...ტყვით, აზრად აქვთ ქალაქის მო...რავის თანამდებობაზე შემდეგ პი...თა კანდიდატურა წამოაყენონ: ი. ხატისოვისა, ა. ძ. არღუთინსკის ინჟენერ ენფიანჯიანცისა, ექიმ ... შერისა, თავ. ვლ. მიქელაძისა ... გ. ზდანოვიჩისა. გამგეობის წევრ... თანამდებობაზე ასახელებენ გ. დიასამიძეს, ი. ს. ჯაბადარს და ზ. ქურდიანს.

**✦ სამხედრო სამართალში მ...ცემულნი.** „პ. დ. ...“ ცნობებ... 5 აგვისტოს ვლადიკავკავში დრო...ბით სამხედრო სასამართლომ სა...დილის საქმის გარჩევის შემდეგ ს...სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტ... ორს 11 წლის კატორგა, ორიც გ... ამართლა; მათ ჰბრალდებოდ... მხვილი მეცხვარის კოშელევის ... ტყვევება; ყველანი აღგილობრ... მცხოვრებნი არიან.

**✦ პ. პ. არხიპოვი პეტ...ბურგს გამგზავრება.** მიწათ მოქ...დების და მიწით-მოწყობის მთავ... მმართველის რწმუნებული პ. პ. ა...ხიპოვი გუშინ 6 აგვისტოს გა...გზავრა პეტერბურგს, რათა უსაკ...როეს საკითხების შესახებ მოხსენ...ბა წარუდგინოს მთავარ-მმარ...ველს: სატყეო საკითხის ჩვენ...

## ლეონარდო და-ვინჩის ოცნება

ხშირად ყველაზედ მეტი სილამაზე ადამიანის სულისა იქ გადიშლება ხოლმე მომხიბვლელი სურათად, სადაც ყველაზე ნაკლებ სარგებელს იღებს ცხოვრება.

ვისაც უყვარს სილამაზე, ის სილამაზე, რომელიც უხილავ ნაკადულად ჩხრიალებს ადამიანის სულში, ბუნების ტკბილ ჰანგად მოისმის ადამიანის გულში, ის უფრო მეტ წარმტაცობას ჰხედავს არა ბრძოლის ნაყოფში, არამედ—ბრძოლაში; მის გულში ჰნერგავს სიყვარულს ფრთებშემსხმელს, აღტაცებას გამამხნევებელს არა გამარჯვებული, არამედ—მებრძოლი.

ლამაზად მებრძოლს, მაგრამ სასტიკად დამარცხებულს ვინ არ შეიყვარებს, ვისი გული არ ატარებს მას სანატრელ ხსოვნად, პატივსაცემლად და შვილის-შვილთა გარდასაცემად?

შეჰხედეთ, შეჰხედეთ, ღმერთთან დაბარებულივით როგორ მიესწრაფვის მაღალ მთის მწვერვალს, თითქოს ანგელოსნი, ცით-მოვლენილნი შეეხდომოდნენ მას მხრებ-ქვეშიდან და უმსუბუქებდნენ ორმოცდა-ათი წლის ტარებას მაღალ მთის გზაზე.

ან იქნებ ორბი მაღლა-მფრინავი, მწვერვალს გარშემო რომ დასტრიალებს თავისი ფრენით აღძრავს მის გულში შურს ან სიყვარულს ცაში ფრენისას და ამ გრძნობებით ძალმოკრებილი ისე მსუბუქად მიექანება მთის უვალ გზაზე?

მიდის, თითქოს დედამიწას გაურბოდეს შორს... ცისკენ.

მიდის, თითქოს იქ უნდა მისწვდეს მაღალს... მიუწვდომელს.

მიდის და ძლიერი, ცივი ქარი კი წინ ეღობება, თითქოს იქ, ციდან მოჰქროლავდეს ძირს ქვეყანაზე დამუქრებული; ძლიერ ტალღებად ეკვეთება, ვინც იმის ქროლვას არ ემონება.

მისი ოქროს-ფერი წვერი ოდნავ ჭაღარით შევერცხლილი გადაპენტილა მის ფართე მხრებზე და ქარის ქრიალვა, იმისი კვნესა, მისი ზუზუნი მხოლოდ მას ესმის და ფრიალით, მხრებზედ ღელვით მას პასუხს აძლევს.

მას არ ესმის არც ქარის ქროლვა, არც კლდიან გზის გაუვალობა.

ობლობის გრძნობით შეწუხებული, უკვდავ ოცნებით ფრთებ-გამოსხმული გაურბის რაღაცას, ესწრაფვის რაღაცას; მიაპობს გზას, მიაპობს ქარს... უკან მოძახის შეშფოთებული მოწაფე:

— სად მიხვალ, ოსტატო! სად მიხვალ, ოსტატო!

მას არ ესმის ძახილი მოწაფისა, მას არ ესმის ხმა მიწისა; მასში გაისმის ძახილი რაღაც ძლიერისა, მოწოდება ცისა.

აგერ კლდის ნაპრალი, მაღალი, სწორი, ყველას დაღუპვით რომ ემუქრება.

მოწაფე შიშმა შეიპყრო:

— რას აპირებს ოსტატი! ქვეყანას ზურგ-შექცეულს, ვაჰ, თუ ეგეც ზურგს აქცევს! იქნებ მოჰბეზრდა ქვეყნად ობლობა და აქ სწყურის—ჰპოვოს შვება და უკვდავება!...

— ოსტატო! ოსტატო!

ოსტატი კი მიდის, მიესწრაფვის.

ერთი წუთიც—და ეს უზარმაზარი ადამიანი თითქოს მოულოდნელად გაშლის ფრთებს და არწივივით ამაყად, სწრაფად გადაეშვება მაღლა კლდიდანო. გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯი კლდის ნაპრალზე და უეცრივ შეჩერდა ვით გაყინული, ვით ქანდაკება შეურყეველი.

მის წინ არწივი ფრთებ გაშლილი დანავარდობდა და მაღლა ცაში, ღრუბელთ შორის თავს მეფედ ჰგრძნობდა.

შეჰხედა მოხუცმა, გაშალა ხელები და ბავშვივით აღტაცებულმა წამოიძახა:

**— იქნებიან ფრთები! იქნებიან ფრთები! და თუ მე არა—სხვა მაინც გაფრინდება, მხოლოდ გაფრინდება კი აუცილებლად!...**

ეს იყო ლეონარდო-და-ვინჩი.

ეს თქმულა მისი პირით მრავალჯერ. ამას იძახდა იგი მთელი სიცოცხლე.

— ფრთები! ფრთები!

აი, მისი ოცნება! აი, მისი ნატვრა თანგანუყრელი, მიუწდომელი. ამ ნატვრაში განვლო სიცოცხლე, ამ ნატვრაში დალია სული.

მთელი საათობით უდევნებია თვალყური მერცხლების ცქრიალისთვის, აკვირდებოდა, სწავლობდა მათ ჰაერში ქროლვას, თამაშსა, ხტომას და რა შეამჩნევდა ახალ რამეს, იმწუთაშივე აღნიშნავდა თავის ხსოვნაში, თითქოს ეპოვოს რამე განძი უძვირფასესი.

ხშირად უეცრივ გაუნებებია თავი თავის „სეროზის“ ხატვისთვის; მოჰგონებია რაღაც „ფრთებზე“, გაქცეულა სახელოსნოში და დაუწყია მასზედ ფიქრი და მუშაობა.

თორმეტი წელიწადი ჰხატა თავისი „სეროზა“. ბოლოს როგორც იქნა დაჰხატა, ცდირსა მის ხილვას. მთელი სიცოცხლე აკეთებდა „ფრთებს“ სიკვდილამდის ოცნებობდა მათზედ, მაგრამ ერთხელ, ერთ წუთას, ერთი ადლითაც ვერ ასცილდა დედამიწას. მთელ სიცოცხლეში ერთხელაც ვერ იგრძნო თავი ჰაერში. ერთხელ ვერ გაშალა ფრთები საოცნებონი..

მაგრამ ვით წმინდას თავის იდეიასას, ვით შეფიცულს თავის ოცნებისას მარად დამარცხებულს მარადა სწამდა, რომ აუცილებლად იქნებიან ფრთები! იქნებიან ფრთები!...

და შესრულდა ოცნება მისი:

არიან ფრთები, დაჰფრენენ ადამიანები, დაჰფრენენ ყოველ დღე...

დაჰფრენენ ყოველ დღე—და, თითქოს, შეჩვეჩვიეთ კიდეც ამ ფრენას, აღარაფერი გვაოცებს მასში.

მას კი, მას კი რა წარმტაცად ჰქონდა წარმოდგენილი ფრთები ადამიანისა.

მას სწამდა თავის დიადის სულით, რომ ფრთებ — შესხმული ადამიანი აღარ ემსგავსებოდა იმ ადამიას, რომელიც მიწაზედ იყო მიბორკილი, ვერ ჰშორდებოდა თავის სიმძიმით მიწის ზედა-პირს.

მას სწამდა, თითქოს ფრთებ-შესხმულნი ადამიანნი გარდიქმნებოდენ ფრინველებად, ანგელოზებად, დაუახლოვდებოდენ ღვთიურსა გრძნობას, უკვდავს განზრახვათ, იქ—ცაში შეითვისებდენ მაღალ ოცნებათ, უსამზღვრო ფიქრებს, ახალ სრამეს მისწვდებოდენ გულის ნატვრანი, ახალის სული გაცოცხლდებოდა ადამიანი.

ადამიანი ცაში ფრენით განიცდიდა იშვიათ სილამაზეს, წარმოუდგენელ სილამაზეს და ამ სილამაზის აღტაცებით, პატივისცემით შეიძლებოდა ძირს, მიწაზეც გარდაექმნა ძველი ცხოვრება.

ყველა ამის გარდა სანატრელ „ფრთებში“ იგი ჰხედავდა კიდევ რაღაცას, რაც იმის გულში დღე და ღამე ჰყაოდა ნატვრად, რაც შეადგენს მხოლოდ მის საუნჯეს, მის საკუთრებას, ვის არსებაშიც იგი იშობვის.

უყურებდა მფრინავ არწივს—შავს წერტილად ცაზედ მოკრულს, შესჩერებოდა ტოროლას ფრთხიალს, თითქოს იგი მზის სხივებით ცაზედ მიებათ, სტკბებოდა მერცხლების წალმა-უკულმა ჰაერში ქროლვით. დიდ-ხანს, დიდ-ხანს უცქეროდა ამ სურათებს, თან სწავლობდა, თან სტკბებოდა და ბოლოს თითქოს საამო სიმღერაც მოესმოდა, სიმღერა ამაყური, სიმღერა ტკბილი, სიმღერა ლამაზი. მათ ბანს აძლევდა თეთრი გედის შორს ცაში ფრენაც, იმისი ბანი სიზმარს ჰგავდა, ოცნებას მაღალს და მთელი ეს დამთრობელი ჰარმონია, სიამით და იდუმალებით გადამრევი ხმები მხოლოდ ციდან ისმოდენ; ცას იწოდებდენ, ვინც მას ისმენდა და გული ლეონარდოსი ნეტარებით აღვსილი ცისკენ ელტოდა, ვერ ჰფრინდებოდა და მწუხარებით კვნესას იწყობდა.

არავინ არ მოიგონებს ლეონარდოს, როგორც ავიატორს. შეიძლება ტატარინოვის სახელი დარჩეს ისტორიაში, როგორც იმედგაცრუებულ ავიატორისა; შეიძლება ბევრი უმნიშვნელო, ჩვეულებრივი კაცუნაც იხსენებოდეს მომავალში, ლეონარდო კი ეცოდინებათ როგორც „სეროზას“ „შემქმნელი“, როგორც ჯიოკონდას ავტორი და არა „ფრთების“ მონატ... ადამიანი, რომელმაც ყველაზედ მ... ტი დრო „ფრთებზედ“ ოცნებ... შესწირა, ყველაზედ მეტი ქონ... მას ანაცვალა, ყველაზედ მეტი ... მარცხება მათგან განიცადა და ყ... ლაზედ მეტად კი მხოლოდ იგ... სწამდა.

თორმეტი წელიწადი ჰხატა თო... მეტი მოციქული თავიანთის მო... ღვრით; შექმნა დიდებული სურ... თი და რა დაამთავრა—ხან-მოკლ... ჩასთვალა მისი ღირსება, აღა... სწამდა იმისი ფასი, რადგან ჩქა... მტვრად იქცეოდა მთელი ნახატი...

ხუთი წელიწადი განიცდიდა ... ყვარულის ნეტარებას თავისი ჯი... კონდას ხატვით; იდუმალება ადამ... ნის სულისა—გადმოსთქვა ლამ... ფერებად; შიგ ჩაატანა თავისი ო... ნება, მასში ამოსთქვა მდუმარე ხმ... ბად მიზანი თავის შემოქმედებ... იდუმალება მთელის სიცოცხლის ... ხუთის წლის შემდეგ ამ უძვირფას... სურათსაც უიმედოდ დაუწყო ც... რა, რადგან მისივე აზრით—ვ... დაამთავრა სურათი; ვერ „დაამთა... რა“ ის, რაც ყველაზე დამთავ... ბულ მშვენიერებად მიაჩნიათ ეხლ...

„ფრთებს“ კი შესწირა მთე... სიცოცხლე, მთელი ცოდნა უმა... ლითო, ოცნება საუკეთესო, ... ტესი ნაწილი თავისის ქონები... მაინც ყოველთვის უცრუვდებო... იმედი, ერთხელაც ვერ გაიმარჯ... მაგრამ ეს ფრთები ყველაზედ მეტ... სწამდა.

არ სწამდა ის, რაშიც ყველაზ... მეტად გაიმარჯვა, რის წყალო... თაც გენიოსად სცნობენ ეხლა ... და სწამდა ის, რაშიც მთელი სიც... ცხლე მარცხდებოდა და რის წ...

# სიზმარი

სონეტი

ვნახე სიზმარი: ქალწულ ქალებს ცრემლით, ქვითინით
მიჰქონდათ კუბო, შემკობილი ვარდით, გვირგვინით;
ცას სწვდებოდა ქირისუფალთ მოთქმა-სიტყვები,
ცრემლად დნებოდნენ თვით უსულო საფლავთა ქვები.

***

სატრფოვ, გიცანი! ეს შენ იყავ, სტკბებოდი ძილით,
ვიცანი შენი ხუჭუჭი თმა, თმა მგოსნის სიმი;
შავი თვალები დაგეხუჭა ნეტარ ღიმილით,
ორ ვარდს ეით შუბზე მობმულ-ტუჩებს უკრთოდა ღიმი.

***

უკანასკნელად დაგეკონე... ცრემლი დავღვარე,
პირობისამებრ მუჭით მიწა მეც მოგაყარე
და ზამბახ იით მოვრთე, ტურფავ, შენი სამარე.
გამომეღვიძა. ბელზებელი გულს შთამესახა
და ვსთქვი: ახ, ნეტავ ეს სურათი ცხადლივ მენახა,
ცხადლივ მენახა სატრფო-გველი კუბოს მდებარე!..

ი. გრიშაშვილი.

---

მოწესრიგება, საძოვრების საკითხი, ჩვენი მხრისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო სხვა და სხვა დაწესებულებებათა შესახებ და სხვა.

◆ **შემოწირულება.** კავკასიის ჭლექთან მებრძოლმა საზოგადოებამ მიიღო ერევნის ქალაქის თვითმმართველობისაგან 1,500 მ., რომლითაც საზოგადოება მოაწყობს ერთს საწოლს მის მიერ აბასთუმანში განზრახულ სანატორიაში.

◆ **ტყის მოშენება.** ტფილისის საზოგადოებას, რომელსაც მიზნად დაუსახავს ტფილისს გარშემორტყმულ მთების ფერდებზე ტყის გაშენებას, ეხლა ეხმარებიან ტფილისის ბოტანიკურ ბაღის სპეციალისტები.

წარსულ 6 თვის განმავლობაში ბოტანიკურ ბაღში ყოფილა 48.000 კაცი. ბოტანიკურ ბაღის სპეციალისტები მუშაობას ველარ ასდიან და ამიტომ განზრახულია მოიწვიონ კიდევ ორი ასისტენტი მთავარ ბოტანიკისა.

◆ **უფასო საჩაიების დახურვა.** რადგან უფასო საჩაიებში ცოტა ხალხი დაიარება, გადაუწყვეტიათ დახურონ, გარდა მამადავითისა, ლოტკის გორისა და დამოუნის საწყობის მახლობლად გამართულ ქალაქის უფასო საჩაიესი.

◆ **ხოლერასთან ბრძოლა.** ამიერ კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა წინადადება მისცა სასტიკი თვალ-ყური ადევნონ სადგურში გამართულს საწვრილმანოების სისუფთავეს, ხოლო კი არ აღუკრძალონ ხილეულობის და სხვა სანოვაგის გაყიდვა.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 31 აგვისტოს ღამე და შაბათ დღეს ბაქოში მუშებსა და მოსამსახურეთ ჩხრეკავდნენ და აპატიმრებდნენ. ერთს სახლში, სურახანისა და თათრის ქუჩების კუთხეში პოლიციამ სტამბა აღმოაჩინა. დააპატიმრეს მუშა ლებედევი. (კ.).

◆ **პურის ნიხრი.** უკანასკნელად გუბერნატორმა რომ დაამტკიცა ქალაქ ტფილისისთვის პურის ნიხრი, აქ მოხსენებულია ფასის გარდა აგრეთვე ფქვილის ის ხარისხებიც, რომლიდანაც უნდა პურს აცხობდნენ. მაგრამ ტფილისელი მეფურნეები და მეთონეები ყურსაც არ იბერტყავენ და რომელ ფქვილიდანაც სურთ, ისეთს პურს აცხობენ. გუშინ პირველ უბანში ბარემ სამ მეფურნეს შეუდგინეს ოქმი, რაკი ეს დადგენილება დაარღვიეს.

◆ **ექსკურსია კიევში.** ქუთაისელთა კიევის ექსკურსია ქუთაისიდან მიემგზავრება კიევს 11 აგვისტოს მატარებლით № 4. ჭვედრი ფული 6 მან. და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება შემდეგის ადრესით: ქუთაისი, სახლი გურიევისა, სტუდ. ა. გურიევისაგან.

◆ **კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის დადგენილება.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს დაუდგენია: 1) სიღნაღის მაზრის სოფ. ბაისუბანსა, ლელიანსა და პატარა-გორაში აღმოჩენილ ფილოქსერის ბუდეები უნდა გაიწყვიტოს. ამისათვის ვაზი უნდა გაიკაფოს ხოლო ნადაგი მოიწამლოს გოგირდოვან ნახშირბადით; 2) ყველა დანარჩენი ვენახები სოფ. ბაისუბანსა, ლელიანსა და პატარა-გორასა, რომელიც გაშენებულია ფილოქსერიან ადგილებიდან მოტანილ ვაზით, უნდა გაიწყვიტოს, ვაზი უნდა ამოითხაროს და დაიწვას; 3) იმ ვენახებში, სადაც ვაზი გასაწყვეტია ზემოდ დასახელებულ სოფლებში, აკრძალოს ვაზის მოშენება 3 წლის განმავლობაში ვაზის ამოგდების შემდეგ; 4) თანხა, რომელიც საჭიროა ამ დადგენილების განსახილველად (მუხლი 1 და 2 ამა დადგენილებისა), ნავარაუდევი 3000 მანეთად, შესდგეს თანახმად მიწადმოქმედების დეპარტამენტის განკარგულებისა 15 ამა მკათათვისა № 25143, ისე რომ 1500 მ. დროებით ნასესხები იქნება ამერიკულ ვაზის კავკასიის სანერგეების საგანგებო თანხებიდან, დანარჩენი 1500 მ. ეთხოვოს კავკასიის ნამესტნიკის მმართველობას ჩვენი ქვეყნის საერობო თანხებიდან; 5) ტფილისის გუბერნატორთან გაიმართოს მოლაპარაკება, შესახებ საფილოქსერო კომიტეტის დაარსებისა ქ. სიღნაღში; ამ კომიტეტს შეადგენენ ადგილობრივი მაზრის უფროსი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი, ამიერ-ალაზნის რაიონის მომრიგებელი შუამავალი საუფლისწულო უწყების ორი წარმომადგენელი, და ორი წარმომადგენელი გლეხებთაგან, რომელთაც ის სოფლები აირჩევენ, სადაც ვენახების ამოსაგდებად მუშაობა იქნება; ამ კომიტეტში დაინიშნება წევრად რაიონის აგრონომი და საფილოქსერო პარტიის გამგე ექსპერტი; 6) ეთხოვოს ტფილისის გუბერნატორს, ყოველნაირივი დახმარება აღმოუჩინოს როგორც დაავადებულ ვენახების ამოგდებას, ისე ხალხში ცნობების გავრცელებაში, თუ როგორ ვრცელდება ფილოქსერა და, როგორ გაუფრთხილდნენ ფილოქსერის შემოტანას; 7) ფილოქსერის დაავადებულ ვენახებად გამოცხადებულ იქმნას **სოფ. ბაისუბანსა** (სიღნაღის მაზრაში) ქვემოდ ჩამოთვლილ გლეხების ვენახები: მათე ბარბაქაძის, თათეოს ციკამაშვილისა, სამსონ ბარბაქაძისა, ამირან ბაქაძისა, იაკინთე მულაძისა შალიკო ბარბაქაძისა და დომენტი ბარბაქაძისა; **სოფ ლელიანსა** (იმავ მაზრაში) ვენახები: სოფრომ კობერიძისა, ცლახა მოქაუშიძისა, შაქრო ბუზალაძისა, ელიზბარ გაბრიჩიძესი, ამირან ხუციშვილისა, სიმონ ჭუმბურიძისა; **სოფ. პატარა-გორაში** (იმავ მაზრაში) ვენახები: ესტატე ბოჟაძისა, სერგო კურშინაძისა; 8) გამოცხადებულ იქმნას, რომ ეჭვია ფილოქსერით დაავადებულნი არიან გარდა მე-7 მუხლში ჩამოთვლილ ვენახებისა კიდევ სოფ. ბაისუბანისა, ლელიანისა და პატარა გორისა, ქოდალოს რაიონში თავ. ვაჩნაძის ვენახები და აგრეთვე ყველა ვენახები ლაგოდეხის შტაბ-ადგილისა; 9) გაგრძელდეს ვენახების გასინჯვის მუშაობა დაავადებულ რაიონის მახლობელ სოფლებში. ამ საქმისათვის წინასწარი ვარაუდით საჭირო იქნება 1500 მან.

რადგან კომიტეტს ეს თანხა არ მოეპოვება, ეთხოვოს კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს, გადასდოს ამ მუშაობისათვის საერობო თანხიდან 1000 მან., ხოლო მიწადმოქმედების დეპარტამენტს ეთხოვოს, ნება მისცენ კიდევ 500 მან. ისესხონ დროებით ამერიკულ ვაზის კავკასიის სანერგეთა საგანგებო თანხიდან.

◆ **ახალი სკოლა.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სექტემბრიდან ხსნის ახალს სკოლას სოფ. გერგეთში, საქართველოს სამხედრო გზაზე, სადგურ ყაზბეგის მახლობლად. საჭიროა მასწავლებელი.

◆ **მასწავლებლის საჭიროება.** კავკავში ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა. მსურველთ უნდა მიმართონ იქაურს განყოფილებას.

◆ **თელავის განყოფილებას** განუზრახავს 15 მარიამობისთვიდან გახსნას თელავში წიგნების და სხვა სასწავლო და საკანცელარიო ნივთების მაღაზია, რისთვისაც თელავის განყოფილება სთხოვს მთავარ გამგეობას ასი თუმნის კრედიტს.

◆ **შეწირულება.** თავადმა იორამ ჯორჯაძემ შესწირა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს ათი სხვა და სხვა ხელნაწერი სიგელ-გუჯარი, რომელიც ეხება მე-16 და მე-18 საუკუნოებს კახეთის ცხოვრებიდან; სიგელები უფრო ეხებიან ჯორჯაძიანთ გვარის ღუდოფლის მოურავთ უხუცესობას, კარის წინამძღვრობის, ენისელთ მოურაობის ბოძებას და სხვა.

◆ **შანტაჟისტები ვლადიკავკაზში.** დროებით სამხედრო-სასამართლომ განიხილა საქმე აზნაურთა კაბაგაძისა და მგალობლიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ბურჟუებზე მუქარის წერილების დაგზავნა გულის დასატყუებლად; წერილებს სწერდნენ სოციალ-დემოკრატების სახელით; სასამართლომ კაბაგიძეს გადაუწყვიტა 8 წლის, ხოლო მგალობლიშვილის 4 წლის კატორგა. (რ. ს.)

◆ **სპარსელ რევოლიუციონერების დაპატიმრება.** ბაქოს მაძიებელ პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ად. ბაქოს სცხოვრობს ვინმე „მიშა", სპარსეთის მოძრაობის მონაწილე, ორის თავის ამხანაგით ვარლამ ენდიძე და ალხაზიშვილითურთ; ისინი ყალბი პასპორტებით სცხოვრებენო. ისიც აცნობეს, რომ ერთ ერთი ამხანაგი მისი მოკლულ იქნა პოლიციელის მიერ 12 მაისს, როდესაც ისინი დასცემოდნენ სპასკის ქუჩაზე სპარსეთის ქვეშევრდომი მამედ გუსეინ ხაბი-ბულა-ოღლის და მათული მირზა ნაბ-ოღლისა. ისინი დააპატიმრეს; ჩხრეკის დროს ქაღალდები უპოვნეს, რომელნიც ნათელს ჰფენენ მათ მოქმედებას. „მიშა" გამოტყდა, რომ ყაზვინის ალებაში დასჭრეს; ალხაზიშვილი, როგორც მძარცველი ვერ უცვნიათ. (გ. მ.)

◆ **თავდასხმა ბაქოში.** „პ. დ."-ს ცნობებით, სამი მაუზერით შეიარაღებული სომეხი დასცემია ტუმაევის ქარხნის მოურავს, როცა ჯამაგირს არიგებდა კანტორაში და მუქარით წაურთმევიათ 2,000 მ. მძარცველები მიიმალნენ; მათი სახელები იციან.

◆ **ბაქოში** ვოსკის ნავთის სამრეწველოში, ბალახანაში იწვის ნავთის საწყობები. დაიწვა სამი კოშკი.

ვაჭრობის სამინისტრომ ნება დართო სამკურნალო სეზონი პიატიგორსკში გრძელდებოდეს მთელი წელიწადი.

◆ **უპასპორტონი.** 5 აგვისტოს პოლიციამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში 62 უპასპორტო შეიპყრო.

◆ **უეცარი სიკვდილი.** 3 აგვისტოს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა სიღნაღის მცხოვრები ისაკ ხუციშვილი.

◆ **შავი ჭირის მოლოდინში.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობა შეეკითხა სხვა და სხვა ქალაქებს, რა ზომები მიიღეთ შავის ჭირის შემოტანის წინააღმდეგათ: გუშინ დილით ქალაქის გამგეობამ ნოვოროსიისკის ქალაქის მოურავის კალანისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „შავის ჭირის წინააღმდეგ გარდა საერთო სანიტარულ ზომებისა მიღებულია ღონისძიებანი თაგვების გასაწყვეტად".

◆ **დუშეთის საქალაქო ბაღი.** ტფ. გუბერნატორმა წერილობითი წინადადება მისცა დუშეთის ქალაქის მოურავს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები დუშეთის საქალაქო ბაღის გასასუფთავებლად, რომელიც ამ ჟამად მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში ყოფილა.

◆ **მკვლელობა.** როგორც გვატყობინებენ, სადგურ ქსანის მახლობლად ვიღაც უცნობთ მოუკლავთ მეწვრილმანე—ებრაელი იონა ელიშაყოვი. მკვლელი შეუპყრიათ.

◆ გამოვიდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" მორიგი (31) ნომერი შემდეგის შინაარსით. „შემოქმედება თუ მეთანხმება"—მეთაური; „ქართულ თეატრის მოღვაწეთა მიმართ"—იოსებ იმედაშვილის; „სიყვარული"—ლექსი, აკაკისა, მემკვიდრეობითი დრამა—კრიტიკული წერილი ზანგისა; ორი სურათი—ლექსი. ს. აბაშელისა; დასავლეთ ევროპის ლიტერატურა—პეტრე დადგაძისა, მუშა ბოჭულაძისა—ია ეკალაძისა; წარსულიდან—აკაკი პაპავასი; მიმიკა—საერთო მიმოხილვა—გიორგი ჟაბადრისა (ბრიუსელიდან); ჭრელი სათეატრო ამბები—ადგილობრივი, რუსეთი, უცხოეთი, დაბა-სოფლები; ერუ სოფლებში—პიესა—ივ. ჭავჭანიძისა. ჟურნალი შემკულია დ. კლდიაშვილის სურათით და სხ.

# სოფლად.

**ლელიანის საზოგადოება*)** ამ ბოლო ხუთიოდ წლის განმავლობაში ბევრი ცვლილებები შეიქნა აშკარა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში: ეს ცვლილებები შეეხება არა მარტო მის ფსიხიურ განწყობილებას, არამედ მის ეკონომიურ მხარესაც. მიწების მსწრაფლ მობილიზაციას თან მოჰყვა მცხოვრებთა მობილიზაციაც უცხო ელემენტების გარდა მიწებს იძენდნენ და იძენენ ადგილობრივი მცხოვრებნიც—განსაკუთრებით იმერლები და ოსები ეს უკანასკნელნი და განსაკუთრებითი კი იმერლები მიწის სიცოტავის მხრივ ადგილობრივ ყველაზედ ძალიან არიან შევიწროვებულნი, და ამიტომაც იძულებულნი შეიქნენ დაეტოვებინათ თავიანთი მამა-პაპათა და თავიანთი სამშობლო სოფლები და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეში შეეძინათ მიწები. თავისუფალი ალაგები შედარებით ყველაზედ მეტი კი აღმოჩნდა კახეთში და განსაკუთრებით სიღნაღის მაზრაში, სადაც მოაშურეს იმერლებმა და ოსებმაც. დღეს ამ იმერლების ახალშენები შეადგენენ არ ერთსა და ორ სოფელს. არამედ მთელს სამამასახლისო საზოგადოებას, რომელშიაც შედის 14 სოფელი. ეს სოფლები გაშენებული არიან მდ. ალაზნის მარცხნივ, დაწყებული, მის სანაპიროდან—კავკასიონის მთებისაკენ ხუთი ვერსის სიშორეზედ სამაზრო ქ. სიღნაღიდან კი ასე—35 ვერსით. ორი სოფლის გარდა—ხოშატიანის და არეშნევრანისა, სადაც მოსახლეობენ ოსები, რომლებიც უკვე 10—17 წლის წინედ დასახლებულან, 12 სოფელი გაშენებულა ამ 2—5 თვის განმავლობაში. შეუდგენიათ ამხანაგობები ოსებს და იმერლებს. და საგლეხო ბანკის საშუალებით შეუძენიათ სხვა და სხვა მემამულეებისაგან რამდენ—რამდენიმე დესეტინა. შემდეგ სოფლები გაუშენებიათ. მყიდველთა რიცხვი კომლობრივ, მათი ვინაობა ეროვნობის მხრივ, სახელწოდებანი ამ ამხანაგობებისა რაოდენობა შეძენილ მიწებისა თვითოეულ ამხანაგობისაგან და ვინაობა გამყიდველ მემამულეთა ამგვარად გამოიხატება:

| რიცხვი კომლობრივ. | მათი ეროვნება. | სახელწოდება ამხანაგობების. | რაოდენობა დესეტ. საჟ. | ვინაობა მიწისა. | ვინაობა გამყიდველთა. |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | ოსები | ტელეთი | 154, 460 | მარიამ | ბუჯიაშვილის ქვრივ. |
| 46 | იმერლები | აფენი 2. | 356, 940 | ლევ. და ვლ. | ანდრონიკაშვილი. |
| 30 | იმ. და ოს. | აფენი 1. | 183, 2000 | . . . | . . . |
| 11 | ოსები | ვერხვის მინდ. | 104, 250 | ლევ. დიმ—ძე | ანდრონიკაშვილი. |
| 76 | იმერლები | ბებუთიანი | 550 | თავ. გ—ძე | ჯორჯაძისაგან. |
| 12 | ოსები | კაიბანი | 81, 2096 | . . . | . . . |
| 53 | იმერლები | მზეჭაბუკიანი | 425, 1330 | გ. ალ—ძე | ანდრონიკაშვილი. |
| 9 | იმერლ. | რამაზიანი | 33, 400 | ლამარია | ქვეჟაძეე. |
| 30 | ოსები | ბოლქვი | 221, 1000 | დ. ალ. და ელენე | ჯორჯაძეები. |
| 23 | იმ. და ოსი | ნაშოვარი | 213, 2000 | ალ. გ—ძე | ანდრონიკაშვილი. |
| 19 | იმერლები | მისხისეული | 143, 400 | ქნ. მარ. | სვიატოპოლკ-მირსკი. |
| 27 | ოსები | ქვემო ხოშატ. | 171, 1120 | თავ. გ—ძე | ჯორჯაძისაგან. |
| 9 | ოსები | პატარა ანონა | 160, 900 | ლევ. დ—ძე | ანდრონიკაშვილი. |

სულ 375 კომლს შეუძენიათ დაახლოვებით 2794 დეს. და რამდენიმე საჟენი.

ამას გარდა აქვე აქვთ შეძენილი მამულები ვეჯინელებს და გურჯაანელებს, რომლებიც აქ არ სცხოვრობენ პირველთ—204 დეს. 1120 საჟ. და მეორეთ—193 დეს. 1440 საჟენი.

ამ პატარა საზოგადოებებისაგან შესდგა შემდეგი სოფლები მცხოვრებთა ამგვარის განაწილებით.

| სოფლების სახელწოდებანი: | რიცხვი თვითეულ სოფელში ქალისა და კაცისა: | |
|---|---|---|
| 1. ლელიანი | 689 | სული. |
| 2. ბალთა და ტარღუმელები | 180 | „ |
| 3. ონანაური | 220 | „ |
| 4. მზეჭაბუკიანი | 197 | „ |
| 5. ნაშოვარი | 585 | „ |
| 6. ვერხვის მინდორი | 100 | „ |
| 7. ფიჩხის ბოგირი | 277 | „ |
| 8. პატარა ნონა | 70 | „ |
| 9. ლაფანი | 43 | „ |
| 10. ქვეხიანი | 170 | „ |
| 11. არეშნევრიანი | 313 | „ |
| 12. ქვემო და შუა ხოშტარიანი | 361 | „ |
| 13. მირეკისეული | 101 | „ |
| 14. ქვემო და ზემო ბოლქვი | 523 | „ |

მთლად ამ 14 სოფელში სცხოვრობს—3,780 სული ორივე სქესისა და თუ ამათ მიუმატეთ 905 ახლად მომატებული მაშინ შეადგენს—4,762, რომელთაგან 1,923 სული იმერელია და დანარჩენი ე. ი. 2,762 ს.—ოსი. მთელ საზოგადოებას შეუსყიდია როგორც ზევით სჩანს სულ 2,799 დესეტინამდეს, ასე რომ სულზედ მოვა—$7\frac{1}{2}$ დესეტინამდის.

ყველა ეს სოფლები შეადგენენ ერთ სამამასახლისოს, სახელდობრ—ლელიანისას, რომელიც მთლად ჩამალულია თვალგადუწვდენელ დაბურულ ტყეში, ისე რომ ვიდრე სოფელზედ არ წააწყდება ადამიანი, ვერ იფიქრებს რომ იქ ხალხი სცხოვრება; თუმცა კი გზა და გზა ძველის არხების ნაადგილარევი და უზარმაზარი ეკლესია ძველის საფლავებით გაფიქრებინებთ, რომ აქ ამ გაუვალ და დაბურულ ტყის მაგიერ ოდესღაც უნდა მოსახლეობა ყოფილიყვეს; თვით ძველი სახელწოდება ამ ალაგისა „ნაბამბარი" იმის მაჩვენებელია, რომ აქ წინედ ტყის მაგიერ უნდა სხვა გვარი კულტურა ყოფილიყვეს და მართლაც ეს მეტად მდიდარი ბუნება რას არ მოიყვანს—აქა-იქ ახლად გაჩეხილ ახოებში დათესილი სიმინდი მეტის სიკეთისაგან ძირსა წევს. ხეები, მრავალგვარი ჯიშისაა და მეტად უზარმაზარები, რომელიც გამოსადეგია საამშენებლო მასალად. მაგრამ რაკი დღეს ბაზარი არ აქვს ოხრდება გაჩეხილი ტყე უსარგებლოდ—ახოების გაკაფვის დროს უკიდებენ ცეცხლს და სწვავენ. წყალი სარწყავად საყოფია, მხოლოდ საჭიროა შეგროვება, რასაც მცხოვრებნი ადგილობრივ მომრიგებელ შუამავლის დახმარებით უკვე შესდგომიან; რაც შეეხება სასმელ-წყალს, ამ მხრით აუარებელი წყაროები, რომლითაც აქაური სოფლები მოფენილია, პირდაპირ თავის სისალით დაუფასებელია. მცხოვრებიც აქაურ ჰავას კარგად შესწყობიან და ლამაზადაც მოუწყვიათ თავიანთი ცხოვრება.

ერთის სიტყვით, ეს ბუნებით მდიდარი ალაგი, ოდესღაც მჭიდროთ დასახლებული, მოწამე ვინ—იცის რაოდენი თაობის ისტორიისა, აქამომდეს დაბურულ ტყეშ ქცეული, დღეს ხელმეორედ იღვიძებს ახალის ცხოვრების დასაწყებად და ამ ახალი ცხოვრების დაწყება ბედმა არგუნა სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ იმერლებს და ოსებს. რომელზედაც ბევრად დამოკიდებულია შემდეგი ცხოვრების მიმართულება ახალშენელთა შთამომავლობისა; და ესენიც თითქოს ინსტიქტიურად გრძნობენ რა თავიანთ დიად მოვალეობას შთამომავალთა წინაშე, მეტად ფთხილად და თანახმად მე-XX-ე საუკუნის კულტურისა შესდგომიან ახალ ცხოვრების მოწესრიგებას.

როგორც ზევით მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, მთელ საზოგადოებას —375 კომლს შესყიდული აქვს 2799 დესეტინამდეს; აქედან 375 დესეტინა გადაუდვია სასახლ-კაროდ

*) ლელიანი წარმოსდგება სახელ-ლელასაგან; სოფელი, რომელსაც ეს სახელი ჰქვიან ამ საზოგადოებაში, გაშენებულია თავ. ივ. ჯორჯაძის ყოფილ მამულზედ; ლელა რქმევია ამ მემამულის ქალს, რომელიც თავისის ქრმით სტუდ. ვაჩნაძით მოჰკლეს ტფილისში პროგრომის დროს 1905 წ. ამ ივ. ჯორჯაძის თხოვნით დაურქმევია იმერლებს ამ საზოგადოებისთვის ლელიანის საზოგადოება.

---

ლობითაც თითქმის არავინ არ მოიგონებს მას მომავალში.

ცხოვრების ლოღიკის გარდა არის ლოღიკა მარადისობისა, უცვლელობისა, ლოღიკა ადამიანის სულისა, რომელსაც საერთო არა აქვს რა მიწიერ ცხოვრებასთან, დღიურ კითხვებთან, სარგებლობასთან, ანგარებასთან.

ეს ლოღიკა სულ სხვას ამბობს, ვიდრე—ცხოვრება:

ისტორია სწყალობს მხოლოდ გამარჯვებულებს. დამარცხებულნი კი საუკუნო საფლავს ჰპოულობენ დავიწყებაში.

დიდხანს მებრძოლი და ბოლოს მაინც დამარცხებული ყოველთვის უფრო საყვარელია, ვიდრე ცოტახანს მებრძოლი და ადვილად გამარჯვებული.

რომელი ეხლანდელი ავიატორი შეედრება „ფრთებზედ" ოცნებაში დამარცხებულ ლეონარდოს?

როცა იგი იდგა კლდის ნაპრალზე ვით ქანდაკება და ცის სივრცეში გაიძახოდა აღტაცებული:

—იქნებიან ფრთები! იქნებიან ფრთები! და თუ მე არა, სხვა მაინც გაფრინდება; მხოლოდ გაფრინდება კი აუცილებლად.

განა იმ წუთაში იგი უფრო მაღლა არ დაჰფრინავდა ვიდრე რაიტი და ლატამი? უფრო სწრაფად არ დაჰქროდა ვიდრე ბლერიო! უფრო მეტ ხანს არ დანავარდობდა ცის სივრცეში, ვიდრე—ფარმანი?

იგი იდგა ნაპრალზე, მაგრამ მისი სული, სილამაზით აღტაცებული, ოცნებით გარს მოხვეული სიზმარში ნახულ თეთრი გედის ფრთებზე არწივთან ერთად დაჰქროდა, არწივზედ მაღლაც დაჰქროდა, ციურ სულებსაც ჰხედავდა, ღვთიურ განზრახვათ სწვდებოდა, ისმენდა ღრუბელთ სიმღერებს, ჰხედავდა ცის ფიქრებს. მან უკვე განიცადა მთელი ნეტარება ჰაერში ფრენისა.

ეხლა კი მხოლოდ ტანით დაჰფრენენ, სული მათი კი მიწაზეა მიჯაჭული ვით ამირანი.

აი, ამას მეუბნება ლოღიკა განყენებულის სამართლისა.

და მართლაც ყველაზედ მიმზიდველად ჰაერში ფრენა მეჩვენება არა მაშინ, როცა წავიკითხავ ხოლმე რომელიმე ავიატორის გამარჯვებას, არამედ მაშინ,—როცა წარმოვიდგენ ლეონარდოს ოცნებას ფრთებზეა, იმის სანატრელ „ფრთებზე"

მახსოვს, პირველად როცა წავიკითხე ჟელიაბოვზედ, იგი შემიყვარდა არა როგორც თავგამეტებული რევოლიუციონერი, არამედ როგორცაეროპლანის გამომგონი, თუმცა ეს გამოგონება უნაყოფოდ დარჩა და მას ყველა იგონებს არა როგორც „ფრთებზე" მეოცნებეს, არამედ-როგორც რევოლიუციონერს.

იქნება ბევრს უცნაურად ეჩვენოს, მაგრამ ლეონარდოც ყველაზედ მეტად მიყვარს როგორც „ფრთების" მონატური ადამიანი და არა როგორც მხატვარი, რადგან ყველაზედ მეტად ფრთები უყვარდა მასაც, ყველაზედ მეტად მათზედ ოცნებობდა, ყველაზედ ხშირად მათზედ მარცხდებოდა და მარად მეოცნებს, მარად დამარცხებულს მაინცა რწამდა, რომ „იქნებიან ფრთები"

შესაყვარია იგი ამ მტკიცე სწმენისთვის.

აღსრულდა კიდეც ოცნება მისი: არიან ფრთები, დაჰფრენენ ადამიანები, დაჰფრენენ ყოველ დღე...

ლევ. მეტრეველი.

თითო კომლს—1 დესეტინა; ეს სასახლ-კარო ადგილი დაუგეგმინებიათ და დაგეგმილ ქუჩების ორთავ მხარეს ჩაუმწკრივებიათ ზოგს თითო და ზოგსაც ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი და აგრედვე სოფლისთვის საჭირო შენობები: ჯინი, ბეღელი, საბძელი კალოთი და სხვა; თვითეულ ეზოს გარს შემორტყმული აქვს ხის ღობე (განსაკუთრებით იმერლებისას, ოსებს კი შეულობავი აქვთ ეზოები). ყველა ეს შენობები სუფთად და სუბუქადაა გაკეთებული და მნახველზედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მზად არიან ზურგზედ მოიკიდონ და გზას გაუდგნენო; თვით ეზოში აგებულ შენობეების წესრიგი მომეტებულ შემთხვევაში ვერ არის დაცული; გამოკითხვის შემდგომ გამოირკვა, რომ მიზეზი როგორც შენობეების სიმცირისა, ისე უწესობისა მდგომარეობას ჯერ ერთი იმაში, რომ მცხოვრებთ ჯერ კიდევ კავშირი არ გაუწყვეტიათ ძველ ადგილებთან და მერეც ეს დაგეგმვა ქუჩებისა დამტკიცებული არ ყოფილა და ყველა ეს გაფთხილებას იწვევს ,მათგან, რომ შემდეგში არ მოუხდეთ შეცვლა ადგილებისა, ეზოებს თაე სდევს ვენახები და ბაღები, სადაც ,სხვათაშორის აღმოჩნდა ფილოქსერა, რის მოსპობაც დიდ ზარალს უქადის პატრონს. თუ მისი შრომა დაჯილდოუებული არ იქნა. სოფლის ბოლოზედ გაშლილია ახლად გაკაფული ახოები, საცა მცხოვრებთ მოჰყავთ წლის ულოსავალი—სიმინდი და პური შემდეგ კიდევ გაუჩეხელი ტყე, მაგრამ ამას გარდა როგორც თავის სოფელშიც, ისე ახოებს გარშემოც საკმიო ტყეა დარჩენილი, რაც ახლო მანძილზედაც კი სოფელს შეუმჩნევლად ხდის. რასაკვირველია სოფლის საჭიროებას მხოლოდ სახნავ სათესი ვერ აუვიდოდა, რომ სხვა საშუალება ,არ ჰქონდეთ საცხოვრებლებისა, სახელდობრ ხის სახლების გაკეთება და მათ დაყიდვა მეზობელ სოფლებში და ეს მეტად სარგებლიანი ხელობაა ისეთ ალაგის მცხოვრებთათვის, როგორც არის ლელიანის საზოგადოებისა, საცა თითქმის ჯერ კიდევ პირველ ყოფილი ტყე და მეტად კარგი საამშენებლო მასალა მოიპოვება, რომელსაც ბაზრის უქონლობის გამო ახოს გაჩეხის დროს მცხოვრებნი ცეცხლს უკიდებენ და უბრალოდ სწვამენ. სამეურნეო იარაღი მცხოვრებთა ჩვეულებრივი—ძველებურია, თუ მხედველობაში აქ მივიღებთ სანიავო მაშინეებს, რაც უმეტეს ნაწილს მცხოვრებთ შეუძენიათ, რაკი აქ ტყის გამო ქარი ძვირია.

რაც შეეხება იმერლების და ოსების ერთმანეთის შორის განწყობილებას, იგი სრულიად მეგობრულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგშიაც ისეთივე იქნება. ოსებიც ქართულად ლაპარაკობენ მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი რიცხვით ბევრად სჭარბობენ იმერლებს. საზოგადოების მამასახლისად და საერთო სამართველოს მოხელეებად მომეტებული წილი იმერლები არიან; მღვდელიც საერთო ჰყავთ და ეკლესიაც.

ეკლესია ახალშენელებს მზა-მზარეული დახვედრიათ; იგი მდებარეობს დაბურულ ტყეში და ერთ შესანიშნავ სიძველეთაგან უნდა ჩაითვალოს ჩვენის წარსულისა და ერთადერთ მოწამედ ამ ალაგებში ყოფილ მცხოვრებთა სვე-ბედისა. ეკლესია მეტად უზარ-მაზარი რამ არის და თავის სახით მიაგავს ურბნისის ეკლესიას; შეიცავს რამდენიმე განყოფილებას და სხვა და სხვა გასავლელ-გამოსავლელებს; შენობა მთლად სრულია, მხოლოდ შიგ მხატვრობა აღარსად არ სჩანს, კედლები სულ ჩამორეცხილია; მოიპოვება ქვები წარწერით და აგრეთვე ხშირად საფლავების გათხრის დროს პოულობენ ბევრგვარ ნივთეულობას, მაგრამ რაკი პატრონი არ არის, იკარგება, აქაური მოძღვარი იმის მაგივრად რომ ამ სიძველეს ყურადღება მიაქციოს, ჩასციებია მცხოვრებთ გამოიღეთ ფული და ახალი შენობა ავაშენოთ შუაგულ სოფელშიო; სულიერ მამას არ აკმაყოფილებს ძველი ეკლესია, რომლის ერთი ნაწილიც სამლოცველოდ გადაუკეთებიათ. ეკლესიას ეწოდება წმ. თევდორეს სახელი. მისი მიდამო, რომელიც მოფენილია ძველის სასაფლაოებით, ბევრს რამე საყურადღებოს გვიქადის, რადგანაც, როგორც გადმომცეს, ყოველი ახალი საფლავის გათხრაზედ პოულობენ ძველ ნივთეულობას: **კარგი იქნება ამ სიძველეს თავის დროზედ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომ მიწაში დაფლული სიძველენი არ დაიკარგოს.**

საბედნიეროდ მღვდლის ამგვარ პროპაგანდას გასავალი არ აქვს და ეს მცხოვრებნი სრულიად კმაყოფილნი არიან ძველის ეკლესიითაც და კიდეც რომ უნდოდეთ, ეხლა იმისი დრო ნაკლებად აქვთ, ათასნაირი ხარჯების გამო: ბანკის ვალი, მამულების გადასახადი, მღვდელი, მამასახლისი და სტრაჟნიკები და ბევრი სხვა სულ თავზედ აწევთ და ყველა ეს ახლად მობინადრეთათვის იმდენად გასაჭირია, რომ ამისთანა შემთხვევაში სხვებს, მაგ., როცა ჩვენს ქვეყანაში ასახლებენ გერმანელებს, რუსებს ან სხვა უცხო ელემენტებს, მთავრობა პირიქით დახმარებას უწევს ფულით სახლ-კარის მოსაწყობად, ტყის გასაკაფად და რამდენიმე წლით გადასახად ხარჯისაგან ანთავისუფლებენ ამათ კი—ლელიანელებს—არამც თუ დახმარებას არავინ უწევს, პირიქით, როგორც აღვნიშნე, მრავალგვარ გადასახადებით სისხლსა სწოვენ და სამაგიეროდ ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი არ უკმაყოფილებენ. მაგალითად ამოდენა მცხოვრებნი დღესაც უსკოლოთ არიან და მათთვის საეკლესიო სასწავლებელიც კი დაუშურნიათ. მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, ლელიანები გულს არ იტეხავენ და იმედით შესცქერიან მომავალს და ჩემს შეკითხვაზედ „როგორ მიდის ბანკის ვალის გადახდის საქმე“ მიპასუხეს—ღვთის მადლით კარგად და იმედია მალე მოვიშოროთო

ყველა ამის შემდგომ ჩვენ თამამათ შეგვიძლიან ვთქვათ: მიეცი ჩვენს გლეხს საყოფი მიწა და მის კუდის აწევა არ დასჭირდება ისე როგორც სხვებს. **მროველი.**

## მოწერილი ამბები

**ქ. დუშეთი.** საშინელი სენი ხოლერა დღითი დღე უფრო და უფრო გრცელდება. ელვის უსწრაფით ერთ ადგილიდან მეორეზე გადადის და მაგრა იკიდებს ფეხს სულ ახალ-ახალ რაიონებში. ხოლერამ მაზრის ორმოცამდე სოფელში იჩინა თავი; როგორც გწერდი, პირველად ს. ზოტიკიანთ კარში გამოჩნდა და შემდეგ მსწრაფლ მოედო სხვა სოფლებსაც; დღე არ გაივლის ისე, —რომ ამბავი არ მოვიდეს —კიდევ ამა და ამ სოფელში გაჩნდაო. ოფიციალური ცნობებით, ივლისის განმავლობაში საერთოდ მაზრაში ხოლერით ავად გახდა სულ—121 სული, მათგან გარდაიცვალა 72, მორჩა -16 და თვის დამლევისთვის ავად იყო—33, მათ შორის დუშეთში ავად გახდა 18 სული გარდაიცვალა—8, მორჩა—6 და ავად არის—4; თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თურმე ბევრი იხოცება ტყე-ღრეში გახიზნულთა შორის, რომელნიც ამის შესახებ არავის უცხადებენ, ზემოდ მოყვანილი რიცხვი უთუოდ ნამდვილზე ნაკლებად უნდა ჩაითვალოს. უეჭველია, რომ ასეთი ძლევა-მოსილი გამარჯვება ხოლერისა, მისი ასეთი გაცხოველება, მის წინააღმდეგ საჭირო ზომების ნაკლულევანებას უნდა მიეწერს,—ეგრეც არის: ადმინისტრაცია იფხვირება, ვითომც აკეთებს კიდეც რასმეს, მაგრამ მისი მოქმედება, ამ ფარგალში, მხოლოდ, მის სულის ჩამდგმელ კანცელიარშჩინით განისაზღვრება; ხოლერასთან ნაყოფიერ ბრძოლას ნამეტნავად აფერხებს აგრედვე საექიმო პერსონალის ნაკლებულობა: სამი ექიმისაგან, მთელ მაზრაში ამჟამად ერთი და იმყოფება, რადგან ორი სხვაგან გადიყვანეს და მათი მოადგილენი კი ჟერაც არ მოსულან. ამას ზედ ერთვის საჭირო მედიკამენტების ნაკლებულობა, ხალხის სიღატაკე და მისივე გონებრივი სიბნელე, რა ხელს უშლის მას მიიღოს ექიმთაგან რჩეული საჭირო ზომები. სწორედ რომ მადლობის ღირსია მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწე ბ. წინამძღვრიშვილი,—დაუღალავი მუშაკი ამ საერთო განსაცდელის დროს: იგი შეძლებისა დაგვარად თვითონ დაიარება ხოლერიან სოფლებში, ურიგებს წამლებს, ხალხს არიგებს, თავ განწირული ეხეთქება აქეთ იქით, მაგრამ... მარტო კაცი ჰერის ჭამაშიაც ბრალიაო, და მისი მეცადინეობა ზემოაღნიშნულ დამაბრკოლებელ მიზეზებზე უმეტეს ნაწილად უნაყოფოდ იმსხვრევა... ხოლერა კი უფრო ღრმად იდგამს ფესვებს...

25 ივლისს, ნოვობაიაზეთის პოლკის ნაწილის ნაცვლად, რომელიც დაღესტანში გადიყვანეს დუშეთის მეორე პლასტუნთა ბატალიონის მოწინავე რაზმი მოვიდა, რომელსაც ქ. დუშეთის თავი ადავერდოვი ხმოსნებითურთ პურ-მარილით მიეგება და მშვიდობით მოსვლა მიულოცა. მოსვლის მესამე დღესვე 28-ში ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა ერთი პლასტუნი ყაზახი. ამბობენ ავადმყოფება კიდევ არიანო.

ძლივს გვეღირსა შუა ქალაქში მყოფ „ბაზრის წყაროს“ შეკეთება, რომელიც დუშეთის ყოფილ თავის—ბ. უ—ს ქალაქსადმი „მამური მზრუნველობის“ წყალობით დიდი ხანი იქნება რაც დაიკეტა ამ წყაროდან სარგებლობდა მოქალაქეთა უმეტესი ნაწილი და ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაეხარდებოდათ მისი შეკეთება, რადგან ამ წყაროს დაკეტვის შემდეგ ისინი იძულებულნი შეიქმნენ ქალაქის განაპირა, ერთადერთ წყაროდან ეზიდნათ წყალი, რაც ძლიერ საძნელო იყო მათთვის, ნამეტნავად ავდარში, როცა ჩვენ განთქმულ ქუჩებში უბარგო კაცსაც უჭირდება სიარული.

28 ივლისს, ადგილობრივ ფაჩარს—გრიქულ ადიხანოვს, როდესაც იგი დასაძინებლად ემზადებოდა, ვიღაცა ბოროტ-განმზრახველმა თოფი ესროლა და გვერდში მსუბუქად დასჭრა. ბოროტგანმზრახველი ვერ აღმოაჩინეს.

იმავე დღეს დუშეთში მოიყვანეს ადმინისტრატიულად რუსეთში გადასახლებული და სამშობლოში თავის ნებით დაბრუნებული წინამძღვრიშვილი სანდრო ირემაშვილი. ირემაშვილს უკან, რუსეთში გზავნიან. შინ ჰრჩება ცოლი და ოთხი ერთი-ერთმანეთზე პატარა ბავშვი, რომელთა შორის ერთი ძუძუთაა. ირემაშვილს დაჭერის დღესაც კი სახლში თურმე ლუკმა პური არ გააჩნდა და მეზობლები სამადლოდ აწვდიდენ თითო პურს. **ამერ-იმერი.**

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** კვირას, 1 აგვისტოს გაიმართა ნ. გვარაძის საბენეფისო წარმოდგენა. წარმოადგინეს რიშკოვის 4 მოქმედებიანი დრამა „პირველი მერცხალი“ თარგ. ვალ. შალიკაშვილისა. სხვათა შორის წარმოდგენაში მონაწილეობდა ბუდუ მდივანი. მობენეფისემ ტიხონის როლი კარგად და გრძნობით შეასრულა. ყოველი მისი სიტყვა გრძნობით ალსავსე იყო. ფილიპ ზახარიჩ უხვატოვის როლში ბუდუ მდივანი კარგი იყო. მხოლოდ არა ბუნებრივი იყო მისი სიკვდილი. ულიანა ფომინიშნა უხვატოვის როლს საუცხოვოდ ასრულებდა ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი. მის ბუნებრივ მიხვრა-მოხვრას და მიმიკას ალტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება. საუცხოვოდ დაგვიხატა მან მთვრალი, გალეშილი ქალი. საზოგადოდ ამ პატივცემულს ქალს მსახიობს ასეთი როლების თამაში ემარტივება. ანდრეი უხვატოვის როლში შ. ხონელი კარგი იყო. კარგები იყვნენ აგრეთვე ვ. შალიკაშვილი, თ. გოგოლაშვილი და ლ. ღოლობერიძე. პირველი ლუკინ ნიკიტა რომანიჩის, მეორე ელენა ნიკიტიშნას და მესამე დარია ნაუმოვნას როლში. ნ. ნადარეიშვილი. გრიგოლ ივანიჩ პუჩკოვის როლში სუსტობდა. სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა და ამიტომაც მისი ლაპარაკი ხშირად გაუგებარი რჩებოდა. დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. თეატრში ანტრაქტების დროს უკრავდა მუსიკა. ნ. გვარაძის დიდი სამსახური მიუძღვის ხონის სცენისადმი და ხალხმაც დააფასა. თეატრი სავსე იყო.

ხმაურობა და უწესოება ყოველთვის არის ხოლმე ხონის თეატრში. ამ სალამოსაც ხმაურობა, ლაპარაკი და სიცილ-კისკისი ხელს უშლიდა ხალხს მოესმინა მსახიობთა ნალაპარაკევი. სამწუხარო ისაა, რომ უწესოების თავი და ბოლო მოსწავლე ახალგაზრდანი არიან და მათ შორის კურსისტკა-სტუდენტები. თუ ლაპარაკი უნდოდათ რალაზე შეიწუხეს თავი და მობრძანდებოდნენ თეატრში, დარჩებოდნენ კარში და იქ დამშლელი არავინ ეყოლებოდათ. რამდენიც უნდოდათ ეყვირათ და ეცინათ თუ თეატრში მოდიან—ახსოვდეთ, რომ აქ იმათ გარდა სხვებიც არიან.

ადგილების ფასი მეტის-მეტი ძვირი იყო.

ნ. ჯავახიშვილი და ვ. შალიკაშვილი 2 აგვისტოდან ტფილისში წავლენ და შემდეგ წარმოდგენებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. რჩებიან მხოლოდ თ. გოგოლაშვილი და ნ. გვარაძე ესენი 3—4 წარმოდგენას კიდევ დასდგამენ. სეზონი 15 მარიამობისთვემდე გასტანს. 5 აგვისტოს ხონში იმართება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ ქ. ქ მ. და თ. შავერზოვისა, ბ. მიქელაძე, ბ. ბ. შარაშიძე, კარაკოზიანცი, გაწერილია, მისენკო, აბაშიძე და სხვა. შემდეგ გაიმართება ცეკვა ივანე შარაშიძის სახლში.

5 აგვისტოს გაიმართება წარმოდგენა სოფ. ქვიტკირში წარმოადგენენ ალ. ყაზბეგის „არსენას“, და ერთს ვოდევილსაც. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩიკვინიძე და ყალამბეგიშვილი.

**მალალი.**


## განცხადებანი

18 20 წ. ქალთ, ვისაც ჰსურს

**გეგიოგის**

**მუქთად, სრულ ხარჯზე**

სწავლის მიღება ტფ. საბებიო ინსტიტუტში 20 ამ თვემდე წარმოადგინონ 4—5 კლასის ნასწავლობის მოწმობანი, ქვაშვეთის მთავარ ნ. ოქრომჭედელთან, იარმუკის ზევით, სამების ქ., № 3-ში. (1—1)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი**

**ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## დოქტ. ნავასარდიანის

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქი... დაარსებულია 1880 წელს (ვორონცოვის ძეგლი... პირდაპირ) ...

**უ მ ჩიქოვანი** ... შინაგანი და ნერვე იაა.

**ზ. ი ბაბანასოვი:** 0—11 ს. საბე... ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურ... ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კან... სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგ... ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. ... ნაკან და საბავშვო.

**ბ. გ აგასაროვი:** 1½—2 ს. შინ... და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—... ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი თ:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანცი:** 6—... საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ... საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინ... განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კა... საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. რიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩ... შეიძინოთ კაცის უხმო საათები ხამი საზურავით «ს... ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქრ... საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქ... აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვი... შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი... აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. ... ათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თ... სებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით ... სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გახინჯავს საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება ყუთით წუთ... დე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უერდ. გაგ... ვნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ 7 PARIS | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამ... ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრ... 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსწრათ და მაგრად დააკრ... კონვერტზე ან ღია ბარათზე. (50—9)

ყველა ჩვენ აპპარატს აზის ფაბრიკის საკუთარი ნიშნები

TRADE MARK „მ წ ე რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი“ TRADE MARK

### აქც. საზოგადოება

# გრამაფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.

**მოგვეპოვება მომღერალთა შემდეგი ფირფიტები**



| ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი: | რ უ ს უ ლ ი: |
|---|---|
| კავსაძე, კარგარეთელი, ტომაშევიჩი (ქართველი), გ. ბაგრატ, ნიკოლი, კომიტას ვარდა პ კავსაძე, მაჯიდ-ბეგბუტოვი, ჯაბარი, ვკორიაგ ღიევ მაშადი მამედ ფარზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა. | ფ. ი. შალიაპინი. ლ. ვ. სობინოვი. დ. ა. სმირნოვი. ვ. პ. დამაევი. ნ. ვ. გრიზუნოვი. ლ. ვ. ნეჟდანოვი. მ. ა. მიხაილოვი. ნ ს. ერმოლენკო-იუჟინისა. ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი. ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა. |

● **ამას გარდა მივიღეთ დიდძალი ფირფიტები „ქუთაისის მოტივები“** ●

**მოითხოვეთ უფასოდ ამ ფირფიტების კატალოგი.**

**ფირფიტები 65 კ. და უფრო ძვირი.**

აპპარატები **35** მანეთიდან და უფრო მეტი.

# АКЦ. ОБЩ. ГРАМАФОНЪ

**კატალოგები მოითხოვეთ უფასოდ.** (0—3)

## სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული“ ქუთაისში.

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—52)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3 რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სოლღულაშვილი**